წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სარეკომენდაციო წერილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ დებულების შესაბამისად განიხილა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა და წინადადება, რაც აისახა შესაბამის ოქმში (თან ერთვის).

საბჭო რეკომენდაციას იძლევა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნას, საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარე: ზ. ჯანელიძე

09.12.2022წ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N4

7.12.2022 წ

ქ. წყალტუბო

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო საბჭოს წევრები - ზურაბ ჯანელიძე, მარინა ჭავჭანიძე, ედიშერ გედენიძე, ლერი გრიგოლავა, ნიკოლოზ გურეშიძე, დავითი მესხი, მურად სინაურიძე, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე; ამასთან, მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ფატი გაგოშიძე, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსი ნათია ჩაკვეტაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, ამავე სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი სოფიო ყანჩაველი.

დღის წესრიგი

1. "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ".
/გ. ბალნჩივაძე, ფ. გაგოშიძე/

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია, რომელმაც ვრცლად ისაუბრა წლის განმავლობაში მერიის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, რამაც მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის 4 მილიონიანი ზრდა განაპირობა, მანვე ყურადღება გაამახვილა პრიორიტეტებზე - ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის , დასუფთავება და გარემოს დაცვისათვის, განათლებისთვის; კულტურის, ახალგაზრდობა და სპორტის განვითარებისთვის; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ფატი გაგოშიძემ სხდომის მონაწილეებს დეტალურად გააცნო პროექტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების, გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების, წყლის სისტემის განვითარების, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის , გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის, ავარიული სახლების და შენობების რეაბილიტაციის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, ნარჩენების

გატანის, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების, სპორტის განვითარების ხელშეწყობის, კულტურის სფეროსა და ტურიზმის განვითარების, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის, ახალგაზრდობის მხარდაჭერის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული ხარჯები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ, რომელმაც მოიწონა გასულ წლებთან შედარებით სათნოების სახლისათვის, დღეგრძელ პირთა დახმარებისთვის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის , სარიტუალო ხარჯებისთვის, ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსებისათვის, სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარებისათვის პროექტით გათვალიწინებული ხარჯების ზრდა;

ლალი გრიგოლავამ - მოიწონა მეწარმე ქალთა თანადაფინანსებისათვის, თეიმურაზ ფირცხალავამ და მანანა ჩიხლაძემ ქორეოგრაფიული ანსაბლის შესაქმნელად გათვალისწინებული ხარჯები;

დავით მესხმა- ყურადღება გაამახვილა ქალაქში მომრავლებულ უპატრონო ძაღლებზე;

მარინა ჭავჭანიძემ - მოითხოვა სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციის ბიუჯეტში გათვალისწინება;

ნათია ჩაკვეტაძემ - რომელმაც განმარტა მაწანწალა ძაღლების ოპერირებისათვის, მათი პოპულაციის რეგულირებისათვის გაწეული საქმიანობა;

გენადი ბალანჩივაძემ - სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციის თაობაზე განმარტა, რომ გათვალისწინებულია აღნიშნული ობიექტის სამუსიკო სკოლის შენობაში გადატანა და მათ ბაზაზე ხელოვნების ცენტრის შექმნა;

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი მოწონებულ იქნას;

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარდგენილ იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად;

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე